ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6350651

ნომერი: AR1948041

თარიღი : 07.02.2023

გაცემის თარიღი : 02.03.2023

გაცნობის თარიღი : 02.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აღმაშენებლის ხეივანი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , ყოფ. საქ. პოლიტ. უნივერსიტ. სამაკეტო ბაზის აღმოსავლეთით; ქალაქი თბილისი , თბილისში მიმავალი საავტომობ გზის გასწყრივ დასავლეთით; ქალაქი თბილისი , ყოფილი საავტომობილო გზის გასწვრივ დასავლეთით;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ ჯაოშვილი პ/ნ 01023001565
- თბილისი გ.ათონელის ქ. N 31

ორგანიზაცია:
- შპს კომპანია ჯაოკენი კოდი: 200031241

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი; ყოფ. საქ. პოლიტ. უნივერსიტ.სამაკეტო ბაზის აღმოსავლეთით; ქ. თბილისი.თბილისში მიმავალი საავტომობ გზის გასწვრივ დასავლეთით; ქალაქი თბილისი, ყოფილი საავტომობილო გზის გასწვრივ დასავლეთით, შპს „კომპანია ჯაოკენი“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე შპს „მაგთიკომი„-ს სამი ანტენის მონტაჟის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ჰიგიენური დასკვნა პროექტზე №355 20.10.2022წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სოფელი დიღომი; ყოფ. საქ. პოლიტ. უნივერსიტ.სამაკეტო ბაზის აღმოსავლეთით; ქ. თბილისი.თბილისში მიმავალი საავტომობ გზის გასწვრივ დასავლეთით; ქალაქი თბილისი, ყოფილი საავტომობილო გზის გასწვრივ დასავლეთით, შპს „კომპანია ჯაოკენი“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე „მაგთოკომი“-ს სამი ანტენის მონტაჟის განხორციელების შესაძლებლობას.

- ანტენებ მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსტრუქციული მდგრადობა.
- გათვალისწინებული და დაცული იქნას ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები;

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.